



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 35

2017 წლის 12 დეკემბერი

ქ. ბათუმი

**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო ზოგიერთი დოკუმენტის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 14 იანვრის №2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო ზოგიერთი დოკუმენტის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 14 იანვრის №2/3 დადგენილებაში (გაზეთი „აჭარა“ 2008 წლის 19 იანვარი; №6; გვ.10) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო ზოგიერთი დოკუმენტის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული №1, №2, №3, №6 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე